

ვახტანგ თევდორაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

vakhtang.tevdoradze@atsu.edu.ge<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.26>

ალ-ჯაჰიზი - მწერალი, ლიტერატურათმცოდნე, მეცნიერი და თეოლოგი

საკვანძო სიტყვები: არაბული ლიტერატურა, ალ-ჯაჰიზი.

შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის და ზოგადად არაბული კულტურის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელი იყო აბუ ოსმან იბნ ბაჰრი, მეტსახელად ალ-ჯაჰიზი (თვალეზგადმოკარკლული). დაიბადა ბასრაში 776 წელს, გარდაიცვალა 868 წელს. ახალგაზრდა ალ-ჯაჰიზი, მიუხედავად სოციალური შეზღუდვებისა, დაუახლოვდა მასჯიდიტებს, ბასრელ სწავლულებს და მიიღო საკმაოდ კარგი განათლება (*The Encyclopedia of Islam*. 1986, 385). ის იყო ცნობისმოყვარე ახალგაზრდა, რომელიც დიდ დროს უთმობდა კითხვასა და სწავლას. ბასრაში მან შეისწავლა ფილოსოფია, თეოლოგია, ბუნებისმეტყველება და სხვა მეცნიერებები. მოგვიანებით გადავიდა ბაღდადში, პროარაბული დამოკიდებულების გამო, მალე მოიპოვა სახელი მაღალი წრის საზოგადოებაში და ხალიფას კარზე მისაღები პიროვნება გხდა. ბაღდადი ამ პერიოდში იყო ისლამური სახალიფოს კულტურული და ინტელექტუალური ცენტრი, რამაც თავისთავად გავლენა იქონია მწერალზე. როგორც აღვნიშნეთ, იგი ფანატიკურად იყო შეყვარებული სწავლაზე, თითქმის სრულად შეისწავლა ბაღდადის ბიბლიოთეკებში არსებული სამეცნიერო ტრაქტატები, რომლებიც ეხებოდნენ არაბულ ლიტერატურას, რელიგიას, ფილოსოფიას, ბუნებისმეტყველებას და სხვა დარგებს.

ალ-ჯაჰიზი ითვლება არაბული პროზის ერთ-ერთ უდიდეს ოსტატად. მისი ნაშრომები გამოირჩევა ენობრივი სიმდიდრით, იუმორით და ფართო ერუდიციით. მან შექმნა უნიკალური ლიტერატურული სტილი, რომელიც აერთიანებს მეცნიერულ დაკვირვებას, ფილოსოფიურ მსჯელობას და მხატვრულ ელემენტებს. მისი ნაწარმოებებიდან აღსანიშნავია „წიგნი მჭერმეტყველებისა და განმარტებებისა“ (كتاب البيان و التبيين), სადაც საუბარია შუა საუკუნეების არაბული ლიტერატურის მხატვრულ სტილზე. თხზულება „ეპისტოლე განათლებისა და ბრუნვისა“ (رسالة الترييع و التدوير). ზოგი არაბი კრიტიკოსი თვლის, რომ ეს ნაწარმოები მაკამის ჟანრის საწყის ეტაპს წარმოადგენს. „წიგნი ვაჭრებზე/მუნწებზე“ (كتاب البخلاء) და „წიგნი ცხოველებზე“ (كتاب الحيوان), რომლებიც ადაბის ჟანრის ადრეულ პერიოდს განეკუთვნება. აქ თავმოყრილია ლექსები, მოთხრობები და ანდაზები ცხოველებზე, ნაწყვეტები არაბი, სპარსი და ბერძენი მწერლების თხზულებებიდან, ფრაზები ყურანიდან, ბიბლიური თქმულებები და ა.შ. (ვ. თევდორაძე). ალ-ჯაჰიზის შემოქმედება გამოირჩევა არამხოლოდ მრავალმხრივი ნამუშევრებით, არამედ თავის ღრმა აზროვნებითა და სოციალური თუ ფილოსოფიური შეხედულებებით. მისი ნაშრომები ეხება ლიტერატურას, ფილოსოფიას, ბუნებისმეტყველებას, რელიგიას, საზოგადოებრივ

საკითხებს, ურთიერთობებს, ადამიანური ქცევებს და მათ კრიტიკას. ამიტომ ის არაბულ სამყაროში მოიაზრება, ლიტერატურის ერთ-ერთ პირველ კრიტიკოსად. მას ასევე ეკუთვნის ნაშრომები, სადაც განიხილავს სხვადასხვა ეთნოსებს, მათ ჩვევებს და ტრადიციებს, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინეს საერთო ისლამური კულტურის განვითარებაზე (Фильштинский 1985, 429).

ალ-ჯაჰიზი, გარდა იმისა, რომ იყო გამოჩენილი მწერალი და ფილოსოფოსი, ასევე იყო ლიტერატურათმცოდნე, მისი ნაშრომები არა მხოლოდ აღფრთოვანებას იწვევდა იმ დროის მკითხველებში, არამედ დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ ლიტერატურული ანალიზისა და ლიტერატურის განვითარებისათვის. ამიტომ დაბეჯითებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ნაშრომებმა მწერლის სიცოცხლეშივე მოახდინეს გავლენა არაბულ ლიტერატურაზე. ის იყო როგორც პროზაიკოსი, ასევე პოეტიც, აქტიურად წერდა ლიტერატურულ კრიტიკაზე, განსაკუთრებით ტექსტების სტილისტიკაზე. ამიტომ მისი ხედვები ლიტერატურაზე ხშირად ეხებოდა ტექსტების სტილის შედარებებს, ფორმის ასპექტებს, სტრუქტურას, მის ჟანრობრივ კუთვნილებას, განიხილავდა ლიტერატურულ მიმართულებებსა და მიმდინარეობებს. ხშირად იყენებდა იუმორსა და ირონიას, რაც მკითხველს საშუალებას აძლევდა, უფრო ღრმად შეეცნო თემა. ასეთი ლიტერატურული ნაშრომები უფრო მიმართული იყო ადამიანის და, ზოგადად, საზოგადოების ბუნების შესწავლისაკენ. მისი აზრით, ლიტერატურა უნდა ემსახურებოდეს არა მხოლოდ ქცევათა აღწერას, არამედ მორალურ და ფილოსოფიურ გაკვეთილებსაც. საუბრობს ლიტერატურის თეორიის საკითხებზე, რიტორიკაზე, მეტაფორებზე, ტერმინოლოგია და შინაარსის გამოყენება-განვითარებაზე. განიხილავს ლიტერატურულ ფორმებს. ალ-ჯაჰიზი იყო არაბული ლიტერატურის ერთ-ერთი ყველაზე მკაცრი კრიტიკოსი, მისი კრიტიკული აზროვნება უნიკალურია, რადგან იგი ტრადიციულად მოაზროვნე და გულწრფელი იყო, ხშირად ლიტერატურის კრიტიკის შუქზე განიხილავდა საზოგადოების სხვადასხვა საკითხსაც.

ალ-ჯაჰიზი აღიარებდა, რომ ლიტერატურა და ხელოვნება არ შეიძლება იყოს მხოლოდ ესთეტიკური, არამედ მათ უნდა ჰქონდეთ ღრმა სოციალური და ფილოსოფიური დატვირთვა. მისი აზრით, ტექსტი უნდა გადმოსცემდეს არა მხოლოდ განცდას, არამედ უნდა ასახავდეს გონივრულ აზროვნებას, ეთიკურ და ინტელექტუალურ სიმაღლეებს უნდა ასახავდეს. „كتاب البيان والتبيين“ - ეს ნაშრომი მისი კრიტიკული აზროვნების ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია. ალ-ჯაჰიზი ამ ნაშრომში განიხილავს, როგორ უნდა იქნეს დამუშავებული მეტაფორები, სტილის ელემენტები და ლიტერატურული ფორმები ისე, რომ ისინი სრულყოფილად გადმოსცემდნენ ავტორის აზრებს და ემოციებს. მან ახსნა ლიტერატურული ფორმების გამოყენების მნიშვნელობა და განმარტა, თუ როგორ უნდა მოხდეს მათი სწორად შერჩევა და გამოყენება. როგორც აღვნიშნეთ, კრიტიკულად განიხილავდა ტექსტების სტილისტიკას. ის ამბობდა, რომ ლიტერატურა არ უნდა იყოს ზედმეტად გართულებული, არამედ მკითხველისათვის ადვილად გასაგები და გამამხიარულებელი უნდა იყოს, ამიტომ, მისი აზრით, ლიტერატორებს უნდა ჰქონოდათ თავიანთი ძლიერი ხაზი, უნდა ყოფილიყვნენ ობიექტურები, თუმცა არ უნდა გადასულიყვნენ ზედმეტად დამძიმებულ ან შორსმავალ განმარტებებზე. ხშირად ხაზს უსვამდა, რომ პოეტებსა და მწერლებს გარდა ლიტერატურული პასუხისმგებლობისა, ასევე აქვთ სოციალური პასუხისმგებლობა, რომ მათ არ უნდა გამოიყენონ ლიტერატურა მხოლოდ საკუთარი ვნებებისა და გრძნობების

ასახვისთვის, რომ ლიტერატურა არ არის მხოლოდ ვარდისფერი სილამაზე, არამედ ემსახურება უფრო ღრმა ფუნქციებს.

ალ-ჯაჰიზი აღნიშნავდა, რომ პოეზია ხშირად სავსეა ემოციური გამოხატულებებით, პროზა კი უფრო გულწრფელად და მარტივად გამოხატავდა იდეებსა და შინაარსს. ის ასევე დიდი ინტერესით საუბრობდა იმაზე, თუ როგორ არის ლიტერატურა დაკავშირებული საზოგადოებრივ და სოციალურ რეალობასთან. ამიტომ მის კრიტიკულ ანალიზში ლიტერატურა, თავისი კულტურული და სოციალური თანმიმდევრობით, ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო. მაგალითად, როგორიცაა საზოგადოებრივი პრობლემები და ამ პრობლემების გადაჭრის გზები. ასეთი შინაარსის გამო მწერლის ნაშრომების გავლენა დიდია მომდევნო პერიოდის კრიტიკულ აზროვნებასა და ლიტერატურულ პროცესებზე, ამიტომ ის სავსებით სამართლიანად ითვლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურად არაბული ლიტერატურის განვითარების ისტორიაში.

ალ-ჯაჰიზი ასევე იყო რელიგიათმცოდნე, რომელსაც ჰქონდა სიღრმისეული განათლება ისლამურ თეოლოგიასა და ფილოსოფიის საკითხებში. მის ნაშრომებში ხშირად შევხვდებით რელიგიურ თემებს, რაც აჩვენებს მის ინტერესსა და ცოდნას იმ პერიოდში არსებულ რელიგიურ მსოფლმხედველობებში. ის იყო მუთაზილიტური სკოლის მიმდევარი და ამიტომ მისი ნაშრომები ხშირად ეხებოდა როგორც რელიგიურ, ასევე პოლიტიკურ საკითხებს. წერდა ისლამური თეოლოგიის, აბასიდების პოლიტიკისა და ეთიკური საკითხების შესახებ. ამიტომ მწერლის ფილოსოფიური და რელიგიური საქმიანობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია მისი მოღვაწეობისა. ის თავის ნაშრომებში აერთიანებდა ისლამური თეოლოგიასა და ფილოსოფიას, რომლებიც სავსეა სიღრმისეული კითხვებით ადამიანის ბუნებისა და მისი რელიგიური რწმენის შესახებ. მისი კრიტიკა ხელს უწყობდა რელიგიური მსოფლმხედველობის გაფართოებას და ნიმუშია იმისა, თუ როგორ შეიძლება მეცნიერული აზროვნება და რელიგია შენარჩუნდეს სინერგიაში, რაც ისლამურ სამყაროში ამ პერიოდში არ იყო. ამიტომ მისი რელიგიური და ფილოსოფიური ხედვები საკმაოდ განსხვავდებოდა იმ დროის ჩვეულებრივი ისლამური თეოლოგიური შეხედულებებისაგან. ის საუბრობს რელიგიურ საკითხებზე უფრო გონივრულ და ანალიზურ ჭრილში, ხშირად აანალიზებდა მორალურ და სოციალურ საკითხებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ისლამური ცხოვრების არსებულ სემანტიკურ და თეოლოგიურ საფუძვლებს. მაგალითად, ის ხშირად საუბრობდა ადამიანის ბუნებაზე, მისი მოტივაციებისა და ქცევების როლზე რელიგიურ კონტექსტში. ასევე განმარტავდა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო რელიგია და მეცნიერება ერთმანეთთან დაკავშირებული, სულ ცდილობდა მათ შეჯერებას. მისი აზრით, მეცნიერება და თეოლოგია არ უნდა ყოფილიყო ურთიერთსაწინააღმდეგო, პირიქით, მომხრე იყო მათი გაერთიანებისა. ამიტომ ნაშრომებში განიხილავდა რელიგიურ კონცეფციებს, რის საფუძველზეც საუბრობს, თუ როგორ არის შესაძლებელი მეცნიერებისა და რელიგიის გაერთიანება და ამის შესაბამისად, როგორ უნდა განვითარებულიყო იმდროინდელი ინტელექტუალი აზროვნება.

ალ-ჯაჰიზი მომხრე იყო გონებრივი თავისუფლების დაცვისა, რაც იმასაც ნიშნავს, რომ ის ეწინააღმდეგებოდა დოგმატებს და ცდილობდა, რომ რელიგია უფრო თანამედროვე, იმ დროინდელ ემპირიულ და ინტელექტუალურ მიდგომებს დამყარებოდა. ამავდროულად, რელიგიურ ნაშრომებში ზოგჯერ ეყრდნობოდა ისლამური თეოლოგიის ტრადიციულ მეცნიერულ მიდგომებსაც, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში ახასიათებდა მათი კრიტიკა.

ალ-ჯაჰიზის სამეცნიერო მოღვაწეობა ფართო სპექტრს მოიცავდა. გარდა ლიტერატურისა და რელიგიისა, მის სამეცნიერო მიღწევებში გამოირჩევა ზოოლოგიური კვლევები. აქ აღსანიშნავია ნაშრომი „წიგნი ცხოველებზე“ (كتاب الحيوان). ეს არის შვიდი ტომისგან შემდგარი ენციკლოპედიური ნაშრომი, სადაც პირველად სისტემურად აღწერა 350-ზე მეტი ცხოველის სახეობა (Аль-Фахури 1959, 77). დეტალურად დააკვირდა ცხოველთა ქცევას, შეიმუშავა მათი კლასიფიკაციის სისტემა, აღწერა სხვადასხვა ცხოველთა სახეობებს შორის ურთიერთობები. აქვე აღსანიშნავია მისი ევოლუციური იდეები. ის ერთ-ერთი პირველია, ვინც ჩამოაყალიბა და შემოიტანა "გადარჩევის" კონცეფცია, რომელიც გარკვეულწილად ჰგავს დარვინის "ბუნებრივი გადარჩევის" პრინციპს, აღწერა გარემოს გავლენა ორგანიზმებზე და მათი ადაპტაციის უნარი, ჩამოაყალიბა იდეა, რომ ცხოველები იბრძვიან არსებობისთვის, რაც იწვევს მათ ცვლილებას მომდევნო თაობებში. მისი ცნობილი ციტატაა: "ცხოველები იბრძვიან არსებობისთვის, და გადარჩენა მიიღწევა გარემო პირობებთან თავსებადობით", თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის წინასწარმეტყველებს დარვინის თეორიას. ალ-ჯაჰიზი გამოირჩეოდა ემპირიული მეთოდის გამოყენებით, რაც მისი დროისთვის ინოვაციური იყო. იგი პირადად აკვირდებოდა ცხოველებს და მათ ქცევას, რის საფუძველზეც უარყოფდა იმ დროის უბრალო გადმოცემებს და ლეგენდებს ცხოველების შესახებ. ხაზგასმით აღნიშნავდა დაკვირვებათა და კვლევებით მიღებული მტკიცებულებების მნიშვნელობას. გააცნობიერა ეკოლოგიური ურთიერთკავშირების მნიშვნელობა, აღწერა კვების ჯაჭვები და ეკოსისტემები; ახსნა, თუ როგორ ურთიერთქმედებენ სხვადასხვა სახეობები გარემოში, დაინახა ჰარმონია და წონასწორობა ბუნებაში და საპირისპიროც. ამასთანავე ჩამოაყალიბა არაბული სამეცნიერო ზოოლოგიური ტერმინოლოგია, ამიტომ მისი სამეცნიერო მემკვიდრეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ეს ყველაფერი გახდა საფუძველი შემდგომი ისლამური მეცნიერებების განვითარებისა. ალ-ჯაჰიზის დამსახურება როგორც მეცნიერის, ასევე არის ის, რომ მან შეძლო, წარმოედგინა ახალი ხედვა ბუნებაზე, რომელიც ეფუძნებოდა დაკვირვებას, ანალიზს და რაციონალურ მსჯელობას, რაც მაშინდელი თეოლოგიური მსოფლმხედველობისგან განსხვავებული იყო (al-Gāhiz, 1965, 5).

საბოლოოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ალ-ჯაჰიზის კრიტიკული აზროვნება საშუალებას იძლეოდა, არაბული ლიტერატურის გარშემო ახალი თეორიები ჩამოყალიბებულიყო, რომელიც არა მხოლოდ ფორმებს, არამედ აზრებსა და ღირებულებებს ეხებოდა. მისი უნიკალური და მრავალმხრივი კრიტიკა (ალ-ჯაჰიზის კრიტიკული მიდგომა იმასაც აჩვენებს, რომ იგი ძალიან დამოუკიდებელი და რეფლექსური აზროვნების მქონე ადამიანი იყო), რომლის საფუძველიც ადამიანის ქცევა, სოციალური ფაქტორები და ლიტერატურული ფორმების სწორად გამოყენება იყო, დღემდე რჩება მნიშვნელოვან და აქტუალურ ლიტერატურულ მემკვიდრეობად. მის ნაშრომებში კარგად ჩანს, რომ მწერლებს და მეცნიერებს უნდა ეზრუნათ საზოგადოების გაუმჯობესებისათვის, მიუხედავად იმისა, თუ რომელ სოციალურ კლასს მიეკუთვნებოდნენ.

ალ-ჯაჰიზი იყო არაბული და ისლამური კულტურის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და გავლენიანი ფიგურა. მისი შემოქმედება არა მხოლოდ ლიტერატურული მნიშვნელობით გამოირჩეოდა, არამედ მათი ფილოსოფიური და სოციალური კონტექსტით. მან სწორი მიდგომით შექმნა საფუძველი იმ ტრადიციებისათვის, რომლებიც მოგვიანებით განვითარდნენ. მისი ბიოგრაფია, როგორც ვნახეთ, მრავალფეროვანია, იმ დროისათვის ახალმა სამეცნიერო მიდგომებმა და კვლევის შედეგებმა კი დიდი გავლენა მოახდინა,

როგორც საერთო არაბულ-მუსლიმურ კულტურაზე, ასევე შემდგომი ხანის ევროპულ აზროვნებაზე. ეს მიდგომები დღესაც მნიშვნელოვანია, რადგან ისინი კონცენტრირდებიან კვლევის, კრიტიკული აზროვნებისა და ინოვაციური შემოქმედების ერთმანეთთან დაკავშირებაზე.

Vakhtang Tevdoradze

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

Vakhtang.tevdoradze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac.2025.10.26>

Al-Djāhiz - Writer, Specialist of Literary Studies, Scientist and Theologian

Abstract

The article discusses the views of one of the outstanding writers, specialist of literary studies, and theologian of the Middle Ages, Al-Djāhiz. he was born in Basra around 776. His full name was Abū 'Utmān 'Amr ibn Baḥr al-Djāhiz, nicknamed al-Djāhiz ('the bug-eyed') due to a defect in his eyes. Little is known about his childhood, but from an early age his desire to learn and his inquisitive mind led him to attend classes in mosques, where he listened to lectures on philology, lexicography, and poetics, delivered by prominent scholars of the time. Later, he became a member of the Mu'tazilites and engaged in discussions on philosophy, theology, and various scientific problems.

After moving to Baghdad, al-Djāhiz devoted himself to literary and scientific work, was an excellent prose writer, did not hesitate to discuss his own philosophical and theological views, as we have mentioned, he was a Mu'tazilite, therefore his religious views are full of the theories of this movement. About 200 scientific or theological treatises belong to his pen: on philosophy, theology, history, geography, chemistry, etc., of which about a third have reached us; about 50 works have been partially preserved, the rest have been lost, but we know that they existed, because scientists of the subsequent period indicated in their works that this or that excerpt was taken from the books of al-Jahiz.

Among the works of al-Djāhiz that have survived to our time, the following stand out: *Epistle on Education and Rounding* (Risālat^u t-tarbi' wat-tadwīr). Some arab critics assume that this work represents the beginning stage of *maqāma* genre. From the literary viewpoint, *The Book of Misers* (*Kitāb al-Buḥalā'*) and *The Book of Animals* (*Kitāb al-Ḥayawān*) are interesting as they belong to an early period of the 'Adab genre. *The Book of Eloquence and Demonstration* (*Kitāb al-Bayān wa al-Tabyīn*), in which he discusses the literary style of medieval Arabic literature, linguistic principles, Arabic eloquence, etc.

We can say that these books together represent an encyclopedia of prominent figures in the field of science and literature known to the era of al-Djāhiz, talking about theology (the teachings of the Mu'tazilites), politics, economics, morality, geography, natural science, biology, mathematics, ethnography, as well as literature, poetry and philology. He had a brilliant command of the Arabic language, which he learned from the Arabs living in Mirbad, was well acquainted with Iranian and Indian culture, so it is also correct to assume that the writer knew Persian well. He popularized knowledge and created textbooks for public and school teachers, at the same time, he tried not only to teach something on this or that subject, but also to teach the reader how to think, how to subject a person to the judgment of reason through doubt. He himself loved reading, and if he liked a book, he wouldn't let go until he finished reading it.

His vast life experience helped him to write satires based on his ideas, where he talks about people's behavior, hypocrisy and arrogance. Sometimes he resorts to such methods as deliberately incorrect reasoning, false syllogisms, and develops these absurd topics and arguments with such enthusiasm that they cause laughter in the reader. Therefore, the treatises are imbued with jokes, attacks on characters he hates, and he does not hesitate to ridicule some hadiths. These satires are full of aphoristic sayings (*Hikma*), didactics (*'Adab*) and elements of humor. Possessing universal knowledge, Al-Djāḥiẓ was able to unite almost everything that the science of that time possessed, so in the Arab world he was perceived as a kind of mentor.

Al-Djāḥiẓ works soon attracted the attention of his contemporary scholars and gained considerable popularity among later generations of scholars.

At the end of his life, suffering from hemiplegia, he returned to his hometown, where he died in 869.

Key words: Arabian Literature, Al-Djāḥiẓ